# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030138764385820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/11046** **11 / სექტემბერი / 2020 წ.**

შპს "აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის"
ხელმძღვანელს ბატონ კახაბერ იშხნელს

ბატონო კახაბერ,

როგორც მოგეხსენებათ, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული მობილიზებული კლინიკების სიის შესაბამისად, თქვენი სამედიცინო დაწესებულება შერჩეულია COVID-19-ის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვისთვის.

ქვეყანაში მიმდინარე ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, წარმოიშვა COVID-19 დადასტურებული პაციენტების სამართავად დამატებითი საწოლების მობილიზების საჭიროება. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-18 მუხლის, მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, გთხოვთ, შესაბამისი მითითებების შემთხვევაში, უახლოეს 72 საათში იყოთ მზადყოფნაში ინფექციის კონტროლის წესების სრული დაცვით საწოლების გარკვეული რაოდენობის ან კლინიკის სრულად მობილიზებისთვის.

აქვე გაცნობებთ, რომ მობილიზებული საწოლებისა და COVID-19-ის საეჭვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ,,2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილებით დამტკიცებული ,,ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია